ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 42-ე წელი. № 292 (12206) | ხუთშაბათი, 28 დეკემბერი, 1961 წ. | ფასი 2 კაპ.

# იდეოლოგიური მუშაობა — ახალ, უმაღლეს დონეზე!

**მოსკოვში,** კრემლის დიდ სასახლეში, გრძელდება სრულიად საკავშირო თათბირი იდეოლოგიური მუშაობის საკითხებზე. 26 დეკემბერს მისი მონაწილენი შეუდგნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ლ. თ. ილიჩოვის მოხსენების განხილვას — სკკპ XXII ყრილობა და პარტიის იდეოლოგიური მუშაობის ამოცანები.

თათბირის ტრიბუნაზე გამოდიან მოკავშირე რესპუბლიკების, ოლქებისა და ქალაქების პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელები, შემოქმედებითი გაერთიანებების, კულტურულ - საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენელნი, რიგითი პროპაგანდისტები, ჟურნალისტები, ლიტერატორები. მათ გამოსვლებში წითელ ზოლად არის გავლებული ის აზრი, რომ იდეოლოგიურ მუშაობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ამჟამად, როცა ჩვენი ქვეყანა შევიდა განვითარების ახალ ეტაპში — კომუნიზმის პრინციპების უშუალოდ განხორციელებისათვის ბრძოლის ეტაპში.

დედაქალაქის მშრომელებში პარტიული პროპაგანდის დიდ გაქანებაზე ილაპარაკა პარტიის მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანმა **ნ. გ. ეგორიჩევმა.** ერთ მილიონ შვიდასი ათასზე მეტი მოსკოველი სწავლობს ახლა სკკპ XXII ყრილობის მასალებს პარტიული განათლების სისტემაში. ყრილობის დელეგატებთან შეხვედრები, თეორიული კონფერენციები, კითხვა-პასუხის საღამოები, მეცნიერთა ლექციები საწარმოებში, საკვირაო კითხვა—პროპაგანდის ესა და სხვა ფორმები ექვემდებარება ერთ მიზანს — გავაცნოთ თვითეულ ადამიანს ყრილობის დოკუმენტები.

სკკპ პროგრამის, ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებების, ყრილობის მთელი მასალების ღრმად განმარტება, მშრომელთა მობილიზაცია კომუნისტური მშენებლობის გრანდიოზული გეგმების განხორციელებისათვის ამჟამად შეადგენს დედაქალაქის პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მთელი იდეოლოგიური და ორგანიზატორული მუშაობის მთავარ შინაარსს.

აზრთა გაზიარება ამ თათბირზე ეჭვი არ არის ხელს შეუწყობს მასებში მთელი იდეურ-პოლიტიკური მუშაობის შემდგომ აღმავლობას, თქვა უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა **ა. დ. სკაბამ.** მან აღნიშნა, რომ უკრაინაში მარტო პარტიული განათლების ქსელში XXII ყრილობის მასალებს სწავლობს დაახლოებით 4,5 მილიონი კაცი. მარტო უკანასკნელ თვეში რესპუბლიკის მოსახლეობისათვის წაკითხულია 850 ათასზე მეტი ლექცია და მოხსენება ყრილობის მასალებზე. სკკპ ისტორიული XXII ყრილობის იდეები მატერიალური ძალა გახდა კომუნიზმისათვის ბრძოლაში.

ბელორუსიის პარტიული ორგანიზაცია, როგორც ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა **ვ. ფ. შაურომ** აღნიშნა თავის სიტყვაში, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს იდეოლოგიური მუშაობის სრულყოფას, ცხოვრებასთან მისი კავშირის განმტკიცებას. პარტიის რესპუბლიკური, საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტები მეტ ყურადღებას უთმობენ მეურნეობის სხვადასხვა დარგის, პარტიული და საბჭოთა აპარატის მუშაკთა ეკონომიურ და ტექნიკურ სწავლებას. 14 ათასამდე კაცი მეცადინეობს მოწინავე გამოცდილების, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის ეკონომიკის, აგროტექნიკის, სამრეწველო წარმოების ტექნოლოგიის შემსწავლელ კურსებზე. ეს კარგ შედეგს იძლევა.

### სრულიად საკავშირო თათბირი კრემლში

უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა **ზ. რ. რახიმბაბაევამ** ხაზგასმით აღნიშნა, რომ XXII ყრილობამ ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა ეროვნულ საკითხზე მარქსისტულ-ლენინური თეორიის შემდგომ განვითარებაში. პროგრამაში, ყრილობის ყველა დოკუმენტში დიდი ადგილი აქვს დათმობილი პარტიის ამოცანებს მასების ინტერნაციონალური აღზრდის დარგში. უზბეკეთში ამჟამად ერთიან ძმურ ოჯახად ცხოვრობენ, შრომობენ საბჭოთა კავშირში მოსახლე თითქმის ყველა ეროვნების წარმომადგენელნი. ხალხთა მეგობრობა ჩვენი ძალაა, ამბობს ორატორი, მომავალ კომუნისტურ გამარჯვებათა საწინდარია. ზ. რ. რახიმბაბაევამ სინანული გამოთქვა იმის გამო, რომ ჩვენმა მეცნიერებმა აქამდე ვერ შექმნეს კაპიტალური შრომა, რომელიც მთელი სისრულით დაგვანახვებდა პარტიის ბრძნულ პოლიტიკას ეროვნული ურთიერთობის დარგში, პოლიტიკას, რომელმაც უზრუნველყო ყველა საბჭოთა რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის უმაგალითო აყვავება.

თათბირის ბევრი მონაწილე შეეხო პარტიის ბრძოლას პიროვნების კულტისა და მისი შედეგების წინააღმდეგ. ამასთან დაკავშირებით ისინი აღნიშნავდნენ უდიდეს მუშაობას, რომელიც სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და პირადად ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა შეასრულეს პიროვნების კულტის მავნე შედეგების აღმოსაფხვრელად, პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმების აღსადგენად. ამაზე ილაპარაკა აგრეთვე მწერალმა **გალინა სერებრიაკოვამ.**

ღრმა პატივისცემას, თქვა მან, იწვევს თვითეული საბჭოთა ადამიანის გულში ის გამბედაობა, რომლითაც ნიკიტა სერგის ძე ერთგულ ლენინელებთან, პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრებთან ერთად გამოვიდა ორთა ბრძოლაში პიროვნების კულტის ქურუმთა წინააღმდეგ. ეს იყო მკაცრი და პატიოსანი ბრძოლა პარტიაში ლენინური ნორმებისა და პრინციპების აღდგენისათვის. ჩვენ გვიყვარს ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი იმისათვის, რომ იგი თავდადებით ემსახურება ხალხს, იბრძვის ადამიანთა ბედნიერებისათვის დედამიწაზე. ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვის ავტორიტეტი უაღრესად მაღალია ჩვენს ქვეყანაშიც და საზღვარგარეთაც. ამ ავტორიტეტს საფუძვლად უდევს მისი უანგარო ერთგულება ხალხის ინტერესებისადმი.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის დირექტორმა **პ. ნ. პოსპელოვმა** აღნიშნა, რომ ისტორიულ-პარტიულ მეცნიერებაში პიროვნების კულტის დაძლევისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს სკკპ მრავალტომიანი ისტორიის მომავალ გამოსვლას. იგი მოწოდებულია მთელი სიდიადით გვიჩვენოს ჩვენი ქვეყნის გმირი მუშათა კლასის, მშრომელი გლეხობის, საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის მსოფლიო-ისტორიული საგმირო საქმენი.

ბევრი ილაპარაკეს თათბირზე ახალგაზრდობის აღზრდაზე. ამას მიუძღვნა თავისი გამოსვლა სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა **ს. პ. პავლოვმა.** მან აღნიშნა, რომ მარტო კომკავშირული განათლების ქსელში სკკპ XXII ყრილობის მასალებს სწავლობს ცხრა მილიონი ქალიშვილი და ჭაბუკი.

ჩვენს ქვეყანაში, თქვა მან, იზრდება ახალგაზრდა თაობა, რომელიც შემოქმედებითს, აღმშენებლობითს შრომაში ხედავს ცხოვრების აზრს, ივითარებს მომავლის ადამიანის თვისებებს, რომლებიც ჩამოყალიბებულია კომუნიზმის მშენებლის მორალურ კოდექსში.

ორატორი შეეხო კომკავშირული ორგანიზაციების ამოცანებს პარტიის XXII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ბრძოლაში. მან აღნიშნა, რომ საჭიროა გავაუმჯობესოთ აღმზრდელობითი მუშაობა ახალგაზრდობაში და რომ ამ საქმეში დიდი როლი ეკუთვნის ლიტერატურასა და ხელოვნებას. ახალგაზრდობა ლიტერატორებისა და კინემატოგრაფიის მოღვაწეებისაგან მოელის, ხაზგასმით აღნიშნა ამხ. პავლოვმა, მაღალიდეურ ნაწარმოებებს.

ვეძებოთ ახალგაზრდობასთან მუშაობის ახალი გზები — ასეთი მოწოდებით მიმართა დამსწრეთ მწერალმა **ს. ვ. მიხალკოვმა.** ჩვენი პირველი რიგის ამოცანაა, თქვა მან, აღვზარდოთ ახალგაზრდობა მარქსის, ენგელსის, ლენინის დიადი იდეების სულისკვეთებით.

მოსკოველმა მასწავლებელმა **ე. ა. რუკავიშნიკოვამ** აღნიშნა სკოლისა და მასწავლებლის უდიდესი როლი ახალი ადამიანის ჩამოყალიბებაში. კომუნიზმის აშენება, თქვა მან, შეუძლიათ მხოლოდ დიდი ცოდნისა და კულტურის ადამიანებს. კომუნისტური მორალის, კომუნისტური შეგნების, შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების სულისკვეთებით აღზრდილ ადამიანებს. სწორედ ამიტომ სკკპ პროგრამაში განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი მოზარდ თაობას, რომელმაც უნდა აშენოს და იცხოვროს კომუნიზმის დროს. ჩვენ, მასწავლებლები, განაცხადა ე. ა. რუკავიშნიკოვამ, შევასრულებთ დაკისრებულ ამოცანებს, არც ძალღონეს, არც ენერგიას არ დავიშურებთ პარტიის პროგრამის განხორციელებაში აქტიური მონაწილეობისათვის.

ორატორთა გამოსვლებში ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ იდეოლოგიური მუშაობა ამ ბოლო დროს უფრო მიზანსწრაფულად ხორციელდება. იგი ხდება სულ უფრო მძლავრი ფაქტორი პარტიისა და ხალხის მთავარი ეკონომიური ამოცანის განხორციელებისათვის — კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისათვის ბრძოლაში. იდეოლოგიური მუშაობის კავშირი კომუნისტური მშენებლობის უმნიშვნელოვანეს ამოცანებთან მკაფიო ფაქტებით დაასურათა თავის სიტყვაში კოლმეურნეობის ბიბლიოთეკარმა მოლდავეთიდან **ლ. ი. ნიამცუმ;** მის სოფელ ბორკოვოში ჯერ კიდევ ორი ათეული წლის წინათ წიგნს კითხულობდნენ მხოლოდ ხუცესი და დიაკვანი. ახლა აქ, სოფლის ბიბლიოთეკაში ათასობით აქტიური მკითხველია. ბიბლიოთეკა რეგულარულად აწყობს თემატურ საღამოებს, ლექციებს, საუბრებს. ბევრი რამ გააკეთა მან სიმინდის მოყვანის მოწინავე გამოცდილების პროპაგანდისათვის.

მოხსენების განხილვაში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე კინორეჟისორმა **ს. ა. გერასიმოვმა,** ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა **ნ. ჯანდილდინმა,** სკკპ ვორონეჟის საოლქო კომიტეტის მდივანმა **ვ. პ. უსაჩოვმა,** საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა **დ. გ. სტურუამ,** ჟურნალ „ინოსტრანაია ლიტერატურის" მთავარმა რედაქტორმა **ა. ბ. ჩაკოვსკიმ,** გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდის" მთავარმა რედაქტორმა **ი. პ. ვორონოვმა,** ლატვიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა **ა. ე. ვოსმა,** პარტიის ლენინგრადის საქალაქო კომიტეტის მდივანმა **ი. ა. ლავრიკოვმა.**

27 დეკემბერს თათბირი განაგრძობს მუშაობას. (საქდესი).

**მოსკოვი, 27 დეკემბერი.** (საქდესი). მესამე დღეა კრემლის დიდ სასახლეში მიმდინარეობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიერ მოწვეული სრულიად საკავშირო თათბირი იდეოლოგიური მუშაობის საკითხებზე. იდეოლოგიური ფრონტის მუშაკთა მრავალათასიანი არმიის წარმომადგენლები დიდი აქტივობით განიხილავენ თავიანთ ამოცანებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებისა და პარტიის ახალი პროგრამის შუქზე. ყურადღების ცენტრშია მშრომელთა კომუნისტური აღზრდის, მთელი იდეოლოგიური მუშაობის შემდგომი აღმავლობის საკითხები.

დღეს სრულიად საკავშირო თათბირზე სიტყვა პირველმა წარმოთქვა რუსეთის ფედერაციის მხატვართა კავშირის გამგეობის მდივანმა **ვ. ა. სეროვმა.** შემდეგ გამოვიდნენ — სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგე **ნ. რ. მირონოვი,** სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ო. მ. ბაღდასარიანი,** ვოტკინსკის ჰიდროსადგურის მშენებლობის პარტიული კომიტეტის მდივანი **მ. ნაზაროვი,** ესტონეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ლ. ნ. ლენცმანი,** რუსეთის ფედერაციის მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე **ლ. ს. სობოლევი** და სხვები.

თათბირი განაგრძობს მუშაობას.

## ა. ი. მიქოიანი ეწვევა გვინეის რესპუბლიკას

საბჭოთა მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ გვინეის რესპუბლიკაში გაემგზავროს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი ა. ი. მიქოიანი იმ მეგობრულ მიწვევასთან დაკავშირებით, რომელიც მას გამოუგზავნა გვინეის რესპუბლიკის მთავრობის მეთაურმა, რათა აწარმოონ ყოველგვარი საჭირო მოლაპარაკება გვინეის რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის თანამშრომლობის განმტკიცებისათვის. ეს ვიზიტი მოსალოდნელია 1962 წლის იანვრის პირველ რიცხვებში.

## საქართველოს კომპარტიის სიღნაღის რაიკომის პლენუმი

**სიღნაღი,** 27 დეკემბერი. (საქდესი). გაიმართა საქართველოს კომპარტიის სიღნაღის რაიკომის პლენუმი, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხი.

პლენუმმა გაათავისუფლა საქართველოს კომპარტიის სიღნაღის რაიკომის პირველი მდივნის მოვალეობისაგან ამხ. ზ. მ. ბიძინაშვილი სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

პლენუმმა საქართველოს კომპარტიის სიღნაღის რაიკომის პირველ მდივნად აირჩია **დ. ლ. გელაშვილი.**

პლენუმმა გაათავისუფლა საქართველოს კომპარტიის სიღნაღის რაიკომის მეორე მდივნის მოვალეობისაგან ამხ. ა. ი. გონაშვილი სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

საქართველოს კომპარტიის სიღნაღის რაიკომის მეორე მდივნად არჩეულია ამხ. **გ. ი. ჯანგულაშვილი.**

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პარტიული ორგანოების განყოფილების გამგე ამხ. **ი. გ. რთველიაშვილი.**

## სიღნაღის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს სესია

**სიღნაღი,** 27 დეკემბერი. (საქდესი). გაიმართა სიღნაღის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს სესია, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხი.

სიღნაღის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ სესიამ აირჩია ამხ. **ა. ი. გონაშვილი** და გაათავისუფლა ამ თანამდებობიდან ამხ. დ. ლ. გელაშვილი.

სესიის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პარტიული ორგანოების განყოფილების გამგე ამხ. **ი. გ. რთველიაშვილი.**





## დაიწყო მესამე ტურბინის გამოცდა

**ბრატსკი,** (საქდესი). კარგ საახალწლო საჩუქარს ამზადებენ ბრატსკის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლები. ისინი კვლავ ადიდებენ მსოფლიოში უდიდესი ჰიდროსადგურის სიმძლავრეს და დღეს დაამთავრეს მონტაჟი, აამუშავეს კიდევ ერთი ბუმბერაზი ტურბინი, რომლის სიმძლავრე 225 ათასი კილოვატია. ეს უკვე მესამე ელექტრომანქანაა, რომელიც ბრატსკის ჰიდროელექტროსადგურში აამუშავეს. ახლა იგი გამოცდას გადის, ემზადება სამრეწველო დენის გამოსამუშავებლად. მთავრდება მეოთხე ტურბინის მონტაჟი.

## უმაგალითო საკონტინენტთაშორისო გადაფრენა

**მირნი,** 26 დეკემბერი. (საქდესი). მატერიკის ყინულზე სამხრეთ პოლარული ობსერვატორიის მირნის მახლობლად მთავრდება ასაფრენ-დასაჯდომი ზოლის მომზადება, რომელზეც დაჯდომას შეძლებს თვლიანი საჰაერო ლაინერი „ილ-18", რომელიც მაკმერდოშია. ხშირი ქარბუქის გამო „პრავდის" ნაპირზე საბჭოთა პოლარელებს უკვე მესამეჯერ უხდებათ დასაჯდომი ზოლის გაწმენდა.

როგორც უკვე ვიუწყებოდით, მეორე საბჭოთა ლაინერმა „ან-10" გუშინ 12 საათსა და 55 წუთზე მოსკოვის დროით დაამთავრა თავისი საკონტინენტთაშორისო გადაფრენა მოსკოვიდან სამხრეთ პოლარულ ობსერვატორია „მირნიში".

ობსერვატორიის მუშაკები—მეექვსე საბჭოთა ანტარქტიკული ექსპედიციის მონაწილენი გულთბილად და სიხარულით შეხვდნენ თავიანთ ამხანაგებს, რომლებმაც პირველი გაფრენა განახორციელეს მოსკოვიდან მირნიში. გადაფრენის წარმატებით დამთავრების აღსანიშნავად ობსერვატორიის ანძაზე აღმართეს საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალამი.

გადაფრენის ყველა მონაწილე თავს ჩინებულად გრძნობს. თვითმფრინავების მატერიალური ნაწილი წესრიგზეა. საავიაციო რაზმის მუშაკები ლაინერ „ან-10" თვლების ნაცვლად თხილამურებს უკეთებენ, რომელთა საშუალებით საბჭოთა პოლარელები აპირებენ მთელი რიგი გაფრენები განახორციელონ კონტინენტის სიღრმეში.

## მესამე აგრეგატი

**ნევინომისკი** (სტავროპოლის მხარე). (საქდესი). ნევინომისკის თბოელექტროცენტრალში დაიწყო სათვალავით მესამე, 50 ათასი კილოვატი სიმძლავრის ტურბოგენერატორის გამოცდა. უახლოეს დღეებში ამ აგრეგატის სამრეწველო დენი ჩაირთვება ჩრდილოეთ კავკასიის ენერგოსისტემის ქსელში. ნევინომისკის თბოელექტროცენტრალი ჩვენი ქვეყნის სამხრეთის უდიდესი სადგურია, რომელიც ყველაზე იაფი სათბობით — სტავროპოლის ბუნებრივი გაზით მუშაობს.



საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესია. სურათზე: დეპუტატები ამტკიცებენ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1962 წლის სახელმწიფო გეგმას. ფოტო ვლ. გინზბურგისა.

# საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესია

27 დეკემბერს საქართველოს სსრ მეხუთე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესია მუშაობას განაგრძობდა. დილის 10 საათზე გაიხსნა მეორე სხდომა. თავმჯდომარეობდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე დეპუტატი **ხ. ს. ბლაუბა.**

დეპუტატები განიხილავდნენ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1962 წლის სახელმწიფო გეგმისა და საქართველოს სსრ 1962 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტებს.

კამათში გამოვიდნენ დეპუტატები: **ვ. ი. გაზაევი** (ქალაქი ცხინვალი), **გ. ა. დუჩიძე** (საგარეჯოს რაიონი), **ო. პ. სვანაძე** (ქალაქი ტყიბული), **თ. ი. კვიჟიძე** (ლანჩხუთის რაიონი), საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის მინისტრი **გ. ა. ქრისტესაშვილი,** დეპუტატი **მ. გ. ტაბატაძე** (ლაგოდეხის რაიონი).

ამით დამთავრდა დღის წესრიგის პირველი ორი საკითხის განხილვა.

საბოლოო სიტყვები წარმოთქვეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარემ დეპუტატმა **ო. დ. გოცირიძემ** და საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრმა დეპუტატმა **ბ. ა. ჩხეიძემ.**

შესვენების შემდეგ სესიას თავმჯდომარეობდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე **ვ. დ. კუპრაძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებმა ერთხმად მიიღეს კანონი საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1962 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ და კანონი საქართველოს სსრ 1962 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ. დაამტკიცეს საქართველოს სსრ 1960 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიში.

უმაღლესმა საბჭომ დაიწყო სესიის დღის წესრიგის მესამე საკითხის განხილვა. მოხსენება „პროექტი საქართველოს სსრ კანონისა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის, ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკებისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების საბიუჯეტო უფლებათა შესახებ" გააკეთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიის თავმჯდომარემ დეპუტატმა **ვ. გ. ესაიაშვილმა.**

მოხსენების გამო გაიმართა კამათი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს დეპუტატებმა: **გ. ა. ჯაბუამ** (ზუგდიდის რაიონი), **ა. გ. გობრონიძემ** (ჩოხატაურის რაიონი), ცხაკაიას რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ **დ. მ. ბაღათურიამ,** დეპუტატებმა **ე. ა. სალუქვაძემ** (ქალაქი თბილისი), **ხ. ს. ბლაუბამ** (ქალაქი სოხუმი), მახარაძის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ **ა. ნ. თოიძემ.**

უმაღლესმა საბჭომ ერთხმად მიიღო საქართველოს სსრ კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის, ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკებისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების საბიუჯეტო უფლებათა შესახებ.

საქართველოს სსრ მეხუთე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიის საღამოს სხდომა გაიხსნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის **ვ. დ. კუპრაძის** თავმჯდომარეობით.

უმაღლესმა საბჭომ დაიწყო სესიის დღის წესრიგის მეოთხე და მეხუთე საკითხების განხილვა. მოხსენება „პროექტი კანონისა საქართველოს სსრ სასამართლოების მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა გაწვევის წესის შესახებ და საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის დებულების პროექტი" გააკეთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ დეპუტატმა **პ. კ. ცაგარეიშვილმა.**

უმაღლესი საბჭო შეუდგა საქართველოს სსრ სასამართლოების მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა გაწვევის წესის შესახებ კანონისა და საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის დებულების პროექტების განხილვას.

კამათში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარემ **ე. პ. ტაკიძემ,** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს იურიდიული კომისიის თავმჯდომარემ **მ. უ. ლომიძემ,** დეპუტატებმა **ა. გ. ბუდუმიანმა** (ქალაქი თბილისი), **ი. დ. ჭუმბურიძემ** (ქალაქი თბილისი), საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის თავმჯდომარემ **ა. ნ. პაიჭაძემ.**

საქართველოს სსრ უმაღლესმა საბჭომ ერთხმად მიიღო კანონი საქართველოს სსრ სასამართლოების მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა გაწვევის წესის შესახებ და საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის დებულება.

მოხსენება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ გააკეთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა დეპუტატმა **ზ. ბ. გელდიაშვილმა.**

საქართველოს სსრ უმაღლესმა საბჭომ დაამტკიცა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი, გამოცემული საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეოთხე და მეხუთე სესიებს შორის პერიოდში, მიიღო კანონები და დადგენილებანი.

საქართველოს სსრ უმაღლესმა საბჭომ დეპუტატი ი. გ. პავლოვსკი გაათავისუფლა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის მოვალეობისაგან რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

საქართველოს სსრ უმაღლესმა საბჭომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრად აირჩია **ნ. ი. როდომანჩენკო.**

იმის გამო, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების ზოგიერთი წევრი წავიდა რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ სამუშაოდ ან ამჟამად მუშაობს თანამდებობებზე, რომლებიც, დებულების თანახმად, არ იძლევა მუდმივ კომისიებში ყოფნის შესაძლებლობას, საქართველოს სსრ უმაღლესმა საბჭომ გაათავისუფლა ისინი დაკისრებულ მოვალეობათაგან.

დეპუტატი ვ. ა. ჩოფიკაშვილი განთავისუფლებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის მოვალეობისაგან. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარედ არჩეულია დეპუტატი **ვ. ი. მელქაძე,** რომელიც განთავისუფლებულია ამ კომისიის წევრის მოვალეობისაგან. საბიუჯეტო კომისიის წევრად არჩეულია დეპუტატი **შ. ო. გრძელიშვილი.**

დეპუტატი ნ. ი. როდომანჩენკო განთავისუფლებულია საბიუჯეტო კომისიის წევრის მოვალეობისაგან იმის გამო, რომ იგი აირჩიეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრად. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო კომისიის წევრად არჩეულია დეპუტატი **კ. ი. ბარიგიანი.**

დეპუტატი მ. ე. თოფურიძე განთავისუფლებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიის წევრის მოვალეობისაგან. ამ კომისიის წევრად არჩეულია დეპუტატი **მ. გ. ვეფხვაძე.**

დეპუტატი ე. მ. ჯაფარიძე განთავისუფლებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მრეწველობისა და ტრანსპორტის კომისიის წევრის მოვალეობისაგან. ამ კომისიის წევრად არჩეულია დეპუტატი **ა. დ. გელაშვილი.**

დეპუტატი შ. პ. ქუტიძე განთავისუფლებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მრეწველობისა და ტრანსპორტის კომისიის წევრის მოვალეობისაგან. ამ კომისიის წევრად არჩეულია დეპუტატი **შ. დ. კიკნაძე.**

დეპუტატი გ. ს. ანიშჩიკი განთავისუფლებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის კომისიის წევრის მოვალეობისაგან. ამ კომისიის წევრად არჩეულია დეპუტატი **კ. მ. კოროლიოვი.**

დეპუტატი **მ. ა. ბიბილაშვილი** არჩეულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სოფლის მეურნეობის კომისიის წევრად.

დეპუტატი **ე. ა. სალუქვაძე** არჩეულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიის წევრად.

ამით საქართველოს სსრ მეხუთე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესია დახურულად გამოცხადდა. (საქდესი).

# ახალი წლის მიჯნაზე

## უსწრებენ გეგმის შესრულებას!

**რუსთავის** აზოტოვანი სასუქების ქარხნის კოლექტივმა ახალ შრომითს წარმატებებს მიაღწია. 23 დეკემბრისათვის შესრულა მინერალური სასუქების გამოშვების წლიური გეგმა. მნიშვნელოვნად აამაღლა შრომის ნაყოფიერება და შეამცირა პროდუქციის თვითღირებულება. განსაკუთრებით ნაყოფიერად იბრძვის ამიაკის, სუსტი აზოტმჟავის და კალიუმის პერმანგანიტის საამქროს კოლექტივები.

**საბჭოთა** კავშირის სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტროს თბილისის საგვირაბო მშენებლობის სამმართველოს — „თბილგვირაბმშენის" კოლექტივმა 20 დეკემბერს 101,2 პროცენტით შეასრულა სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წლიური გეგმა.

საცხოვრებელი ფართობის საექსპლოატაციოდ გადაცემის წლიური გეგმა შესრულებულია 118 პროცენტით. (საქდესი).

**სოხუმი.** (საკ. კორ.). ქალაქის მრეწველობამ 18 დეკემბრისათვის გადაჭარბებით შეასრულა შვიდწლედის მესამე წლის საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა. ახლა ქალაქის მრეწველობა პროდუქციას 1962 წლის ანგარიშში იძლევა.

**ჭიათურა.** (საკ. კორ.). მარგანეცის ქალაქში ერთ-ერთი მოწინავეა მაღაროთა მშენებლობის სამმართველოს კოლექტივი (უფროსი კ. ზამთარაძე, პარტბიუროს მდივანი ვ. გელოვანი), რომელსაც არაერთგზის გამოუჩენია თავი. ამ სამმართველოს კოლექტივმა ააშენა ახალი ითხვისისა და ახალი დარკვეთის, მღვიმევხრამისა და ზედარგანის მძლავრი მაღაროები, რომლებიც მაღალხარისხოვან მარგანეცს იძლევიან. შვიდწლედის მშენებლობათა მწყობრში წელს ჩადგა მღვიმევხრამის მაღარო. სამმართველოს სახელოვანი კოლექტივი ახლა აშენებს დიდი წარმადობის მაღაროს მერევში, აგრძელებს მეორე რიგის მშენებლობებს დარკვეთში, მღვიმევსა და ზედარგანში.

მაღაროთა მშენებლებმა ახალი გამარჯვება მოიპოვეს — მათ 20 დეკემბრისათვის შეასრულეს შვიდწლედის მესამე წლის დავალება. მათი ვალდებულებაა ახალ წლამდე გეგმის ზევით შეასრულონ სულ მცირე ასი ათასი მანეთის სამუშაოები.

**მარნეული.** (საკ. კორ.). წელს აქ თამბაქოს უხვ მოსავალს იღებენ. 20 დეკემბრისათვის რაიონის კოლმეურნეობებმა შეტეხეს და სახელმწიფოს ჩააბარეს 3.000 ტონა თამბაქო. გასულ წელთან შედარებით წელს ერთიორად მეტი მოსავალია მიღებული.

თამბაქოს მოვლა-პატრონობასა და სახელმწიფოსათვის ჩაბარების საქმეში წარმატებას მიაღწიეს სადახლოს სამედ ვურღუნის სახელობის კოლმეურნეობის მშრომელებმა. მათ ჯერ კიდევ 10 დეკემბრისათვის შეასრულეს სახელმწიფოსათვის თამბაქოს ჩაბარების წლიური გეგმა. ნაცვლად 240 ტონისა ჩააბარეს 245 ტონა თამბაქო.

**ზ. მერკვილაძე.**

**თბილისი.** ზეთის ქარხნის კოლექტივმა (დირექტორი კ. ბოცვაძე) 23 დეკემბრისათვის შეასრულა მიმდინარე წლის საწარმოო გეგმა. გამოშვებულია 1.090,8 ტონა საჭმელი ზეთი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1.080 ტონისა.

ქარხნის კოლექტივმა ვალდებულება იკისრა წლის ბოლომდე გეგმის გადამეტებით გამოუშვას 150 ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია.

**საჩხერე.** რაიონის მშრომელებმა წელს თავდადებით იშრომეს, წარმატებას მიაღწიეს მეცხოველეობის შემდგომი განვითარების საქმეში. შეასრულეს მეცხოველეობის პროდუქტების დამზადების წლიური გეგმა — ხორცისა 100 პროცენტით, რძისა 107 პროცენტით, ხოლო კვერცხისა 100,5 პროცენტით.

## ყრილობის გადაწყვეტილებანი მასებში

**თერჯოლა.** (საკ. კორ.). რაიონის მშრომელები საფუძვლიანად ეცნობიან, ღრმად სწავლობენ პარტიის XXII ყრილობის ისტორიულ მასალებს.

ამ დღეებში თერჯოლაში ჩამოვიდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ლექტორები — დოცენტები ქორიძე, ჩაგუნავა და ჭანუყვაძე. მათ წაიკითხეს ლექციების ციკლი პარტიის XXII ყრილობის მასალებზე.

რაიონის მშრომელებმა დიდი ინტერესით მოისმინეს მოხსენებები თემებზე „სკკპ XXII ყრილობა ჩვენი ქვეყნის ეკონომიური განვითარების ძირითადი ამოცანების შესახებ", „პარტიის XXII ყრილობა სახელმწიფოს შესახებ", „პარტიის XXII ყრილობა იდეოლოგიური მუშაობის შესახებ".

□ □ □

**ცხაკაია.** (სპეც. კორ.). კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, საწარმო - დაწესებულებებში ისმის აგიტატორთა მგზნებარე სიტყვები. რაიონში ათასამდე აგიტატორი ყოველდღიურად აწყობს საუბრებს სკკპ XXII ყრილობის მასალებზე.

ამას წინათ რაიონში მოწვეულ თათბირ-სემინარზე მოსმენილ იქნა ლექციები: პარტიის რაიონული კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგის მ. ქვარცხავასი — „სკკპ XXII ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებანი კომუნიზმისათვის ბრძოლის დიადი პროგრამაა", ლექტორთა ჯგუფის წევრების ვ. მაქაცარიასი — „ორი სისტემის ეკონომიური შეჯიბრება", ვ. ნაროუშვილის — „კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები კომუნიზმის გზაზე, საზოგადოებრივი ურთიერთობის გარდაქმნა სოფლად" და სხვ.

პოლიტიკური განათლების ბიბლიოთეკაში მოეწყო გამოფენა, რომელიც ხელს შეუწყობს ყრილობის მასალების სწავლების მაღალ საფეხურზე აყვანას.

# საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1962 წლის სახელმწიფო გეგმის, საქართველოს სსრ 1962 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა და საქართველოს სსრ 1960 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ ვ. ა. ჩოფიკაშვილის თანამოხსენება

— ამხანაგო დეპუტატებო! საბჭოთა ხალხი უდიდესი აღფრთოვანებით შეუდგა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის მიერ მიღებული კომუნიზმის მშენებლობის დიადი პროგრამის განხორციელებას.

[illegible]

# ჩვენი გეგმები გაბედულია და რეალურია, ისინი შესრულდება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესია მიმდინარეობს იმ დღეებში, როცა მთელი საბჭოთა ხალხი შეუდგა სკკპ ისტორიული XXII ყრილობის დიად წინასწარმეტყველებათა განხორციელებას, კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნას. ამიტომ „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1962 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ ო. ე. გოცირიძის მოხსენებისა და „საქართველოს სსრ 1962 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა და საქართველოს სსრ 1960 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ“ საქართველოს სსრ ფინანსთა მი-

[illegible]



საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესია. სურათზე: საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების ჯგუფი (მარცხნიდან მარჯვნივ) ნ. მახარაშვილი (ხაშური), შ. კუბლაშვილი (ტყიბული), ე. ჯიბუტი (ჩოხატაური), ნ. ყოჩიაშვილი (წითელწყარო), ნ. ფანჩულიძე (თერჯოლა), ნ. როდომანჩენკო (თბილისი), ტ. ფოფხაძე (ჭიათურა).

[illegible]

ასორტიმენტს. ჩვენმა კოლექტივმა მთხოვა გადავცე უმაღლესი საბჭოს სესიის მონაწილეებს, რომ მან 100,2 პროცენტით შეასრულა წლიური გეგმა და იკისრა ვალდებულება წლის ბოლოსთვის გეგმის გადამეტებით გამოუშვას 50 ათასი მანეთის პროდუქცია.

დეპუტატი აღნიშნავს, რომ ქალაქის ადგილობრივი მრეწველობის საწარმოებს და კერძოდ იმ ქარხანას, რომელშიც

(დასასრული მე-8 გვერდზე)

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომები

# ჩვენი გეგმები გაბედული და რეალურია, ისინი შესრულდება

ეროვნული ბიბლიოთეკა

(დასასრული)

[illegible] რძის, ხილისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის მნიშვნელოვნად გადიდება.

უფრო კეთილმოწყობილი გახდა კურორტი წყალტუბო. ახლა აქ 27 სამკურნალო დაწესებულება მუშაობს. მარტო წელს აქ ისვენებდა 75 ათასამდე მშრომელი საბჭოთა კავშირის ყველა კუთხიდან. მომავალ წელს კურორტზე საექსპლოატაციოდ იქნება გადაცემული კიდევ სამი ახალი სანატორიუმი 800 ადგილით. მაგრამ წყალტუბოს სამკურნალო დაწესებულებებს სჭირდებათ დამატებითი აბაზანები როგორც მოზრდილთათვის, ისე ბავშვებისათვის.

შემდეგ დეპუტატი ლაპარაკობს კომუნალურ საწარმოთა მუშაობასა და კურორტის შემდგომ კეთილმოწყობაზე. აქ იგრძნობა ბინების ნაკლებობა, საცხოვრებელი სახლების მნიშვნელოვანი ნაწილი ავარიულ მდგომარეობაშია.

ამ საკითხებთან დაკავშირებით ორატორი სთხოვს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას გაადიდოს ასიგნობანი წყალტუბოს საკურორტო და საბინაო მშენებლობისათვის, კომუნალური მეურნეობის განვითარებისათვის.

დასასრულ ორატორი პირობას აძლევს სესიას, რომ წყალტუბოს რაიონის პარტიული, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო ორგანოები ყოველ ღონეს იხმარენ, რათა სრულად გამოიყენონ არსებული რეზერვები, წარმატებით შეასრულონ შვიდწლედის მეოთხე წლის მთელი სახალხო-სამეურნეო დავალებანი.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა, აღნიშნავს თავის გამოსვლაში დეპუტატი **თ. ვ. ლაშქარაშვილი,** დაუცხრომლად ზრუნავენ სახალხო განათლებისათვის. რესპუბლიკაში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა საშუალო და უმაღლესი განათლების სპეციალისტთა მომზადება სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგისათვის. ახლა განსაკუთრებული ყურადღება ექცევა იმას, რომ ახალგაზრდობამ წარმოებას მოუწყვეტლივ მიიღოს უმაღლესი და საშუალო განათლება დაუსწრებელი და საღამოს სწავლების საშუალებით.

როგორც ცნობილია, მიმდინარე წელი მესამე წელია მას შემდეგ, რაც დაიწყო სახალხო განათლების სისტემის გარდაქმნა, სკოლის მიახლოება ცხოვრებასთან, წარმოებასთან. რესპუბლიკაში ბევრი რამ გაკეთდა ამ მიმართულებით, მაგრამ ბევრი რამ ჯერ კიდევ გასაკეთებელია. 1962-63 სასწავლო წელს საქართველოს ყველა შვიდწლიანი სკოლა უნდა გადავიდეს 8-წლიან სწავლაზე, ხოლო ეს მოითხოვს დამატებით 1.300 საკლასო ოთახს. ამავე წელს ყველა საშუალო სკოლამ უნდა დაამთავროს საწარმოო სწავლებაზე გადასვლა. საშუალო სკოლებში, სადაც საწარმოო სწავლებაა, იმეცადინებს 73 ათასი მოსწავლე — 35 ათასით მეტი, ვიდრე წელს. მოსწავლენი მიიღებენ 100-მდე სხვადასხვა პროფესიას.

ცხადია, ასეთი დიდმნიშვნელოვანი ამოცანის გადაჭრა, თუ ამას აქტიურად არ შეუწყობენ ხელს ადგილობრივი, პარტიული და საბჭოთა ორგანოები, შეუძლებელი იქნება. მათ ამ საქმეში უნდა ჩააბან კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, სამრეწველო საწარმოები.

საჭიროა აღინიშნოს, ამბობს დეპუტატი, რომ რესპუბლიკაში მეტად ნელა მიმდინარეობს სკოლების მშენებლობა. მაგალითად, მშენებლობის 11 თვის გეგმა მხოლოდ 87 პროცენტით შესრულდა. განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა სოხუმში, ბათუმში, ცხინვალში, ორჯონიკიძის რაიონის სოფელ ვახანში, ჰიათურის რაიონის სოფელ ნავუთში.

დეპუტატი ამბობს, რომ ასიგნობანი, რომლებიც საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილია 1962 წლისათვის, ძირითადად აკმაყოფილებენ სახალხო განათლების მოთხოვნილებებს.

ყვარლის რაიონის მშრომელნი, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, თქვა დეპუტატმა **ა. ი. ყოჩიაშვილმა,** ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა თავიანთი წვლილი შეიტანონ კომუნიზმის ნათელი შენობის აგებაში. მიმდინარე წელს ამინდის არახელსაყრელი პირობების მიუხედავად მათ ყურძნის, მარცვლეული და სხვა კულტურების უხვი მოსავალი მოიყვანეს. შესრულებულია სახელმწიფოსათვის სოფლის მეურნეობის პროდუქტების მიყიდვის გეგმები. მნიშვნელოვანი წარმატებებია მოპოვებული საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებაში.

არცთუ ცუდად იმუშავა წელს აგრეთვე ჩვენმა კოლმეურნეობამ — სოფელ ახალსოფლის მარჯანიშვილის სახელობის კოლმეურნეობამ. სახელმწიფოს მივყიდეთ ორჯერ მეტი ყურძენი, ვიდრე გეგმით იყო გათვალისწინებული. გადაჭარბებით შევასრულეთ სახელმწიფოსათვის სიმინდის მიყიდვის გეგმა, გავადიდეთ მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება.

რაიონის კოლმეურნეობათა ეკონომიკაში წამყვანი ადგილი უჭირავს მევენახეობას, რომელიც მთელი ფულადი შემოსავლის 65-70 პროცენტს იძლევა. ამიტომ ვენახების შემდგომ გაფართოებას, მათი მოსავლიანობის გადიდებას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. მაგრამ სარგავი მასალის უქონლობის გამო მიმდინარე წელს გასაშენებელი ვენახების 90 პროცენტი მომავალ წელს გაშენდება. სულ მომავალ წელს უნდა გაშენდეს 600 ჰექტარზე მეტი ახალი ვენახები, რასაც დასჭირდება სამ მილიონზე მეტი ნერგი. ამდენი ნერგის მისაღებად უნდა დავამყნოთ 7-8 მილიონი ვაზი, რასაც ჩვენი კოლმეურნეების შრომით თავს ვერ გავართმევთ. ამიტომ მიზანშეწონილია რაიონში შეიქმნას საბჭოთა მეურნეობა—სანერგე. ამისათვის ყველა პირობა გვაქვს. ვთხოვთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განიხილოს ეს საკითხი.

ყვარლის რაიონში სარწყავ მიწებს დაახლოებით 2.800 ჰექტარი უჭირავს. აქედან სიმინდი ითესება 800 ჰექტარზე, დანარჩენი ფართობი დაკავებული აქვს მრავალწლიან ნარგავებს, ტექნიკურ და სხვა კულტურებს. თუ რესპუბლიკის წყალთა მეურნეობის სამინისტრო მოგვცემს საჭირო სახსრებს, შეიძლება ალაზანზე აშენდეს წყალსატუმბავი სადგური, რომელიც დაგვეხმარება მოვრწყათ სოფლების შილდის, ენისელის, საბუეს, გრემისა და ალმატის კოლმეურნეობათა კიდევ 2.500-მდე ჰექტარი მიწა.

დეპუტატი **რ. მ. კომახიძე** ამბობს, რომ აჭარის მშრომლები ახორციელებენ სკკპ [illegible] სახელმწიფოსათვის ციტრუსოვანთა ნაყოფის მიყიდვის გეგმა უკვე განაღდებულია და აჭარის მეციტრუსეები მალე უპატაკებენ სამშობლოს ნახევარი მილიარდი ცალი მანდარინის, ლიმონის, ფორთოხლის ჩაბარების შესახებ ნაკისრი ვალდებულების შესრულებას.

აჭარის მშრომელნი მიღწეულს არ სჯერდებიან. მათ, სკკპ ახალი პროგრამით, ნათელი კომუნისტური საზოგადოების აშენების პროგრამით აღფრთოვანებულებმა, გადაწყვიტეს კიდევ უფრო თავდადებით იბრძოლონ სამრეწველო საქონლის, სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის.

შემდეგ ორატორი შეეხო ნაკლოვანებებს, რომლებიც ჯერ კიდევ არ აღმოფხვრილა აჭარის ასს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ზოგიერთ დარგში. იგი აღნიშნავს, რომ ჯეროვანი ყურადღება არ ეთმობა რესპუბლიკის ისეთი დიდი სამეცნიერო-საკვლევი ობიექტის მშენებლობას, როგორიც არის დიდი აკვარიუმი ბათუმში. საჭიროა მავნებლებისაგან მწვანე ნარგავების დასაცავად მუშაობის აქტივიზაცია.

მთელი რიგი სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის ზრდის ტემპს, ამბობს ორატორი, სერიოზულად ჩამორჩება დამამზადებელი ორგანიზაციების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ზრდა. ისინი თავის დროზე ვერ უზრუნველყოფენ სოფლის მეურნეობის პროდუქტების მიღებას.

— სკკპ XXII ყრილობის ისტორიულმა გადაწყვეტილებებმა, — თქვა დეპუტატმა **ა. კ. აგაპოვმა,** — ახალი უმაგალითო პოლიტიკური და შრომითი აღმავლობა გამოიწვია. ჩვენს ერთსულოვან მუშათა ოჯახში დღითიდღე სულ უფრო მკაფიოდ ანათებენ შუქურები, იზრდება საწარმოო წარმატებანი. ქალაქ ქუთაისის მრეწველობამ ვადამდე შეასრულა წლიური გეგმა და ახლა ზეგეგმით პროდუქციას უშვებს. განსაკუთრებით ნაყოფიერად იშრომეს სატრანსპორტო, საკონსერვო, მინის ტარისა და ბევრი სხვა საწარმოს კოლექტივებმა. მიმდინარე წელს ქუთაისში გაწეული კეთილმოწყობის, კულტურულ-საყოფაცხოვრებო და საბინაო მშენებლობის სამუშაოები ერთხელ კიდევ მოწმობს, რომ პარტია და მთავრობა დაუცხრომლად ზრუნავენ ხალხის კეთილდღეობისათვის.

ამასთანავე ჩვენ გვაქვს ნაკლოვანებანი. ის შეეხება უწინარეს ყოვლისა ქალაქის წყალმომარაგებას, კანალიზაციასა და ელექტრომეურნეობას. ფარცხანაყანევის წყალსადენის მშენებლობა, მაგალითად, მეტად ნელა მიმდინარეობს, რადგან არ ჰყოფნით გამოყოფილი თანხები. რესპუბლიკის მეორე ინდუსტრიულ ცენტრს ქუჩების განშტოებული ქსელი აქვს, რომელიც შეადგენს დაახლოებით 230 კილომეტრს. მაგრამ მათი კეთილმოწყობისათვის დაგეგმილი სახსრები ათი წლის წინანდელ დონეზე რჩება. უფრო მეტიც, 1962 წლის ბიუჯეტით უფრო შემცირებულიც არის კეთილმოწყობის ხარჯები. ჩვენ გთხოვთ შეიტანოთ კორექტივი, რათა გაგვიდიდოთ ასიგნობანი ქალაქის კეთილმოწყობის სამუშაოებზე.

ყოველწლიურად ქუთაისში 1.500 კაცით იზრდება მოსწავლეთა რიცხვი. 1962 წელს დაგეგმილია ორი სკოლის მშენებლობა — ავტომობილმშენებელთა დაბის ტერიტორიაზე და სოხუმის ქუჩაზე. გთხოვთ უზრუნველყოთ სკოლების მშენებლობის სრული დაფინანსება, რათა ახალი სასწავლო წლის დამდეგისათვის დამთავრდეს მშენებლობა. ამასთანავე გთხოვთ გაგვიდიდოთ ასიგნობანი განათლების, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვის ობიექტების კაპიტალური რემონტისათვის, გამოგვიყოთ სახსრები ცენტრალური სტადიონის მშენებლობის დასამთავრებლად.

წალკის რაიონის მშრომლები ისწრაფვიან თავიანთი წვლილი შეიტანონ კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის დიდებული გეგმის შესრულებაში. დეპუტატმა **ა. კ. მაკაროვმა** ფაქტებითა და მაგალითებით ცხადყო, რომ იზრდება რაიონის მშრომელთა პოლიტიკური და შრომითი აქტივობა. კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა შარშანდელთან შედარებით გაადიდეს სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოება და სახელმწიფოსათვის მიყიდვა. 20 დეკემბრისათვის სახელმწიფოს მიეყიდა 18.500 ცენტნერი ხორცი — 4.550 ცენტნერით მეტი, ვიდრე შარშან. სახელმწიფოსათვის რძის მიყიდვის გეგმა შესრულებულია 101 პროცენტით, კარტოფილი მიეყიდა 1.100 ტონით მეტი, ვიდრე 1960 წელს. მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობა შარშანდელთან შედარებით 2 ათასით გადიდდა, აქედან ძროხისა — 524-ით.

წარმატებით მიმდინარეობს ხრამჰეს 2-ის მშენებელთა საქმეებიც. ისინი 1962 წელს მოგვცემენ პირველ სამრეწველო დენს.

დეპუტატმა ილაპარაკა ნაკლოვანებებზე. რაიონში ჯერ ვიდევ არიან ეკონომიურად სუსტი კოლმეურნეობები, რომლებსაც დახმარებას ვუწევთ და ვცდილობთ მოწინავე მეურნეობათა დონემდე ავიყვანოთ.

ზოგიერთი სკოლა მოთავსებულია ძველ, მოუწყობელ შენობებში. ორატორი სთხოვს სესიას გაითვალისწინოს ეს და გაადიდოს ასიგნობანი სასკოლო მშენებლობისათვის. იგი ითხოვს აგრეთვე გამოიყოს სახსრები სხვა ობიექტების მშენებლობის დამთავრებისათვის.

კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები აუმჯობესებენ ნათესი ფართობების სტრუქტურას. მცირემოსავლიანი კულტურები მომავალ წელს შეიცვლება უფრო ძვირფასი და უხვმოსავლიანი კულტურებით, როგორიც არის ბარდა, შაქრის ჭარხალი, კარტოფილი, წიწიბურა და სხვ. გეგმებით გათვალისწინებულია მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების შემდგომი გადიდება.

უმაღლესი საბჭოს განსახილველად შემოტანილი საქართველოს სსრ 1962 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმისა და სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტები, ამბობს დასასრულ დეპუტატი, ხელს შეუწყობენ რესპუბლიკის შემდგომ ეკონომიურ განმტკიცებას, კომუნიზმის მშენებლობის გეგმის წარმატებით განხორციელებას.

დეპუტატი **თ. ნ. დავითაშვილი** ლაპარაკობს წარმატებებზე, რომლებიც საავტომობილო ტრანსპორტის მუშაკებმა მოი- [illegible] ცეს დაახლოებით 500 ავტობუსი და სხვა მანქანები, რომლებიც სხვადასხვა უწყებასა და დაწესებულებას ეკუთვნის, აღნიშნავს, რომ საჭიროა გაფართოვდეს ავტოვაგზლების, აგრეთვე დიდი ავტობაზების მშენებლობა.

1962 წელს 1958 წელთან შედარებით ტვირთბრუნვა 5-ჯერ გაიზრდება. იგი განხორციელდება არა მარტო საავტომობილო პარკის გადიდების, არამედ უკეთ გამოყენების გზითაც. მომავალ წელს გათვალისწინებულია ფართოდ დაინერგოს საქალაქთაშორისო ტვირთზიდვა, ტვირთების გადატანა ავტომატარებლებით.

აღნიშნულ ღონისძიებათა განხორციელებისათვის საჭირო იქნება მნიშვნელოვანი სახსრები. დეპუტატი სთხოვს სესიას გაადიდოს ასიგნობანი 200 ათასი მანეთით.

დეპუტატს წინადადება შემოაქვს დამტკიცდეს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების 1962 წლის გეგმის წარმოდგენილი პროექტი და საქართველოს სსრ ბიუჯეტი.

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების 1962 წლის გეგმისა და ბიუჯეტის პროექტები, რომლებსაც უმაღლესი საბჭოს ეს სესია განიხილავს, — აღნიშნა დეპუტატმა **ვ. ი. გაზაევმა,** — მთლიანად და სავსებით მიმართულია რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი განვითარებისაკენ, მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის ყოველმხრივი გაუმჯობესებისაკენ. პარტიისა და მთავრობის ზრუნვას ქა- [illegible] ყოველ ღონეს ხმარობენ იმისათვის, რომ შეასრულონ სახელმწიფოსათვის სოფლის მეურნეობის პროდუქტების მიყიდვის გეგმები.

მის გამოსვლაში დიდი ადგილი დაეთმო ქალაქ ცხინვალის საბინაო მშენებლობისა და კეთილმოწყობის საკითხებს.

დეპუტატმა **გ. ა. დუჩიძემ** თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმისა და რესპუბლიკის ბიუჯეტის პროექტებს, რომლებიც წამოყენებულია ამ სესიის განსახილველად, იგი სავსებით უჭერს მხარს.

საგარეჯოს რაიონის სოფლის მეურნეობის მშრომლებმა ფართოდ გააჩაღეს ბრძოლა, რათა თავიანთი წვლილი შეიტანონ იმ ამოცანის შესრულებაში, რომ მიაღწიონ სოფლის მეურნეობის პროდუქტების სიუხვეს ჩვენს ქვეყანაში. რაიონის კოლმეურნეობებმა დიდი გადაჭარბებით შეასრულეს საშემოდგომო ხვნა-თესვის, აგრეთვე მზრალად ხვნის გეგმები. მთავრდება საშემოდგომო-საზამთრო სამუშაოები ვენახებში.

ორატორმა აღნიშნა, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს სარწყავი სისტემების მშენებლობას. ზემო სამგორის სარწყავი არხის მშენებლობის დამთავრება შვიდწლედში შესაძლებელს გახდის საგარეჯოს რაიონში 23 ათასი ჰექტარი საკოლმეურნეო მიწების მორწყვას. მშენებლობის მოსამზადებელი სამუშაოები მთლიანად დამთავრებულია.

დეპუტატმა მნიშვნელოვანი ყურადღება დაუთმო რაიონის მოსახლეობის კულტურული, სამედიცინო მომსახურების საკითხებს. რაიონში მთის ბევრი პატარა სოფელია, სადაც მხოლოდ დაწყებითი სკოლებია. ამიტომ საჭიროა გადაიჭრას საკითხი სკოლა-ინტერნატის მშენებლობის შესახებ. ორატორმა მოითხოვა აგრეთვე გადაიჭრას სამშობიარო სახლის მშენებლობის, საბავშვო დაწესებულებათა ქსელის გაფართოების, წყალმომარაგების გაუმჯობესების საკითხი.

დეპუტატმა მხარი დაუჭირა გამოსულ ორატორთა წინადადებას — დამტკიცდეს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების მომავალი წლის გეგმა და ბიუჯეტი.

ტყიბულის რაიონის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მშრომლები, რომლებიც აღფრთოვანებული არიან მშობლიური კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით, — თქვა დეპუტატმა **ო. პ. სვანაძემ,** — კარგი მაჩვენებლებით ამთავრებენ შვიდწლედის მესამე წელს. შესანიშნავი წარმატებები მოიპოვეს ტყიბულელმა მეშახტეებმა, რომლებმაც გეგმის გადამეტებით უკვე ამოიღეს 17 ათასი ტონა სათბობი. ტყიბულის შახტმშენის სამმართველოს კოლექტივმა, რომელიც გვიჩვენებს შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების მაგალითს, 5 დეკემბერს შეასრულა წლიური გეგმა.

ორატორმა ილაპარაკა იმ წარმატებებზე, რაც მოიპოვეს კომკავშირული შახტის მშენებლებმა, სადაც იგი გვირაბგამყვანთა ბრიგადირად მუშაობს. მშენებლები უკვე სექტემბრიდან მუშაობენ 1962 წლის ანგარიშში. ბრიგადას, რომელსაც იგი ხელმძღვანელობს, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 65 მეტრისა ყოველთვიურად გაჰყავს 80-90 გრძივი მეტრი.

დეპუტატმა აღნიშნა, რომ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1962 წლის გეგმა და სახელმწიფო ბიუჯეტი, რომლებსაც მიმდინარე სესია მიიღებს, — ჩვენი რესპუბლიკის შემდგომი აყვავების, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების გეგმა და ბიუჯეტია. ორატორმა მოიწონა ისინი და ამავე დროს თავის ამომრჩეველთა დავალებით წამოაყენა ტყიბულის მშრომელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესია მიმდინარეობს ღირსსახსოვარ დღეებში, — თქვა აცანის ჩაის ფაბრიკის მთავარმა აგრონომმა დეპუტატმა **თ. ი. კვიჭიძემ,** — როცა ყველგან ჩაღდება შეჯიბრება პარტიის დიად წინასწარდასახულობათა წარმატებით განხორციელებისათვის.

ლანჩხუთის რაიონის სამრეწველო საწარმოებში, კოლმეურნეობებში თავდადებული შრომაა გაჩაღებული. მინდვრებისა და პლანტაციების მშრომლები ცდილობენ წარმატებით დაამთავრონ მიმდინარე სამეურნეო წელი, საფუძველს უყრიან მომავალი წლის უხვ მოსავალს. მიუხედავად ამინდის არახელსაყრელი პირობებისა, რაიონის მეჩაიეებმა მოკრიფეს და სახელმწიფოს მიჰყიდეს 255 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. სიმინდის წარმოება შარშანდელთან შედარებით ერთიორად და მეტად გაიზარდა. გარკვეული წარმატებებია მოპოვებული მეაბრეშუმეობის, მეცხოველეობისა და სოფლის მეურნეობის სხვა დარგების განვითარებაში.

ორატორმა ილაპარაკა აცანის ჩაის ფაბრიკის მუშაობის შესახებ. ჩაის ფოთლის დამზადების გეგმა საწარმომ 104,2 პროცენტით შეასრულა. გამოშვებული პროდუქციის 77 პროცენტი პირველი ხარისხისაა. გადაჭარბებით განაღდებულია აგრეთვე ასორტიმენტის გეგმები. ფაბრიკის კოლექტივმა სავსებით უარყო მესამე კატეგორიის მეორე ხარისხის პროდუქციისა და მესამე ხარისხის პროდუქციის გამოშვება, კილოგრამი მზა პროდუქციის თვითღირებულება გეგმასთან შედარებით 40 კაპიკით შემცირდა. საუკეთესო მაჩვენებლების მიღწევისათვის საწარმოს კოლექტივს ორჯერ მიეკუთვნა რესპუბლიკური გარდამავალი წითელი დროშა.

ორატორი შეეხო რაიონის სოფლის მეურნეობის განვითარების პერსპექტივებს და დაასახელა ხეხილის ბაღების ფართობის ზრდის ციფრები. პლანტაციები ძირითადად უნდა გაშენდეს კოლხიდის დაბლობის ზონაში, ამიტომ დეპუტატმა დააყენა საკითხი — გაფართოვდეს მუშაობა ამ მიწების ათვისებლად, აგრეთვე გამოიყოს საზაფხულო საძოვრები. დეპუტატმა მიზანშეწონილად მიიჩნია აშენდეს რაიონში საკონსერვო ქარხანა.

საქართველოს კავშირგაბმულობის მუშაკთა მრავალათასიანმა კოლექტივმა, — თქვა საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის მინისტრმა **გ. ა. ქრისტესაშვილმა,** — ისევე როგორც რესპუბლიკის ყველა მშრომელმა, პარტიის ახალი პროგრამა მიიღო თავის ღვიძლ საქმედ, კომუნიზმის მშენებლობისათვის საყოველთაო სახალხო ბრძოლის დროშად.

კავშირგაბმულობის საწარმოებში სულ უფრო ფართოვდება სოციალისტური შეჯიბრება, მრავლდება კომუნისტური შრომის დამკვრელებისა და ბრიგადების რიგები. მიმდინარეობს დაუცხრომელი მუშაობა კავშირგაბმულობის საშუალებათა შემდგომი განვითარებისა და სრულყოფისათვის, ახალი ტექნიკის დანერგვისათვის, სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის მომსახურების გაუმჯობესებისათვის.

ორატორმა სესიის მონაწილეთა ყურადღება მიაპყრო მუშაობას საქალაქო სატელეფონო კავშირის განვითარებისათვის, რომელიც ჯერ კიდევ ყველაზე ჩამორჩენილი უბანია. თბილისში შექმნილია კავშირგაბმულობის საწარმოთა სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტის ფილიალი და საბჭოთა კავშირის სატელეფონო მშენებლობის ტრესტის სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველო. ამით გადაიჭრა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო საქმის საკითხები, შეიქმნა სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციის კვალიფიციური კოლექტივი, რაც დიდად გვიწყობს ხელს ავტომატური სატელეფონო სადგურების მშენებლობაში.

უკანასკნელ ხანს მნიშვნელოვანი მუშაობა განხორციელდა ახალი სატელეფონო სადგურების მშენებლობისათვის. ავტომატური სატელეფონო სადგურები აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა თბილისში, სოხუმში, ცხინვალში, ქუთაისში, მახარაძეში, ზუგდიდში, ახალციხეში, გუდაუთში, გეგეჭკორში, გურჯაანში, დრანდაში. მათი საერთო ტევადობა 25 ათასი ნომერია. სოფლად სატელეფონო სადგურების რაოდენობა 1959 წლის დამდეგთან შედარებით 19 პროცენტით გაიზარდა. მნიშვნელოვნად განვითარდა რადიოკავშირგაბმულობის, რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის საშუალებანი.

ჩვენ მიგვაჩნია, თქვა ორატორმა, რომ კაპიტალურ დაბანდებათა გეგმის წარმატებით შესრულების პირობებშიც კი, კავშირგაბმულობის საშუალებათა განვითარების ტემპი სრულიადაც ვერ შეესაბამება ჩვენი რესპუბლიკის, განსაკუთრებით კი თბილისის სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის მოთხოვნებს. მან მოითხოვა გაითვალისწინონ ეს და განუსაზღვრონ რესპუბლიკის კავშირგაბმულობის სამინისტროს კაპიტალურ დაბანდებათა გეგმა 1962 წლისათვის, რომელიც 1961 წლის გეგმაზე ნაკლები არ იქნება.

დეპუტატმა **მ. გ. ტაბატაძემ** ილაპარაკა იმაზე, რომ პარტიის XXII ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებული სოფლის მშრომლები, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, წარმატებით ახორციელებენ კომუნიზმის მშენებლობის პროგრამას.

დეპუტატმა აღნიშნა ლაგოდეხის რაიონის მშრომელთა წარმატებანი სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობის წამყვან დარგში — მეთამბაქოეობაში.

ამავე დროს ორატორმა ილაპარაკა იმაზე, რომ საჭიროა შეიქმნას თამბაქოს მოვლა-მოყვანის სპეციალური ტექნიკა. მან შეიტანა წინადადება გაითვალისწინონ ასიგნობანი თამბაქოს მოვლა-მოყვანის პროცესების მექანიზაციისათვის მანქანების კომპლექსის დასამუშავებლად. კოლმეურნეებს დიდ დახმარებას გაუწევს ახვლედიანის სისტემის თამბაქოსსაშრობი ფარდულების სერიული გამოშვება.

დასასრულ ამხ. ტაბატაძემ პირობა მისცა სესიას, რომ ლაგოდეხის რაიონის სოფლის მეურნეობის მშრომლები ყოველ ღონეს იხმარენ შვიდწლედის მეოთხე წლის სახელმწიფო დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის. (საქდესი).

---

## საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ ო. დ. გოცირიძის

# საბოლოო სიტყვა

ამხანაგო დეპუტატებო! საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების 1962 წლის სახელმწიფო გეგმამ, რომელიც რესპუბლიკის მთავრობამ სესიის განსახილველად შემოიტანა, ერთსულოვანი მოწონება და მხარდაჭერა ჰპოვა. სესიაზე გამოსული ყველა დეპუტატი აღნიშნავდა, რომ გეგმა ასახავს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის მიერ ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარებისათვის დასახულ ძირითად მიმართულებებს და სავსებით შეესაბამება ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ყველა დარგის, მეცნიერებისა და კულტურის ყოველმხრივი განვითარების ამოცანებს.

საბიუჯეტო კომისიის მოხსენებაში და დეპუტატთა სიტყვებში წამოყენებული იყო ბევრი საკითხი, რომლებსაც უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვთ ჩვენი რესპუბლიკის განვითარებისათვის, აგრეთვე დასახელებული იყო ღონისძიებანი, რომელთა მიზანია სახალხო მეურნეობის დარგების მუშაობის გაუმჯობესება, მეცნიერებისა და კულტურის განვითარება, შინაგანი რესურსების გამოვლინება, საფინანსო-ეკონომიური მაჩვენებლების გაუმჯობესება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დამავალა მოვახსენო სესიას, რომ მინისტრთა საბჭო გულდასმით განიხილავს საბიუჯეტო კომისიისა და დეპუტატების მიერ წამოყენებულ საკითხებს და მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებებს.

საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ დეპუტატმა ჩოფიკაშვილმა, დეპუტატებმა, ლაშქარაშვილმა, ლაბაძემ, ვიშნიაკოვმა წამოაყენეს სკოლების, სკოლა-ინტერნატების, ბავშვთა სკოლამდელი დაწესებულებების ქსელის შემდგომ განვითარებასთან და კეთილმოწყობასთან დაკავშირებული საკითხები და სახალხო განათლების განვითარების ზოგიერთი სხვა საკითხი, რომლებიც ნამდვილად მომწიფებული და საყურადღებოა.

მინისტრთა საბჭოს საჭიროდ მიაჩნია სპეციალურად განიხილოს საკითხი და სახალხო-სამეურნეო გეგმის პროექტით გათვალისწინებული სახსრების გარდა გამოჰყოს სკოლებისა და სკოლა-ინტერნატების კეთილმოწყობისათვის დამატებითი თანხები. საჭიროა სახალხო განათლების ორგანოებმა უზრუნველყონ ამ თანხის სწორი განაწილება და წარმატებით ათვისება.

როგორც საბიუჯეტო კომისიის მოხსენებაში, ისე დეპუტატთა სიტყვებში ნათქვამი იყო, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს სპეციალური დადგენილება ვაჭრობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ, მნიშვნელოვანი მუშაობა განხორციელდა სავაჭრო საწარმოთა მშენებლობისათვის, სასადილოებისა და საზოგადოებრივი კვების სხვა საწარმოთა გაფართოებისათვის. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ ჩვენი რესპუბლიკის თავისებურებებს — კურორტების სიმრავლეს, ტურიზმის განვითარებას და სხვ., უნდა ვაღიაროთ, რომ გამოყოფილი სახსრები საკმარისი არ არის. ეს საკითხები ჩვენმა დეპუტატებმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე დააყენეს. ყოველივე ამის გათვალისწინებით მიზანშეწონილ იქნა დამატებით გამოიყოს საზოგადოებრივი კვების საწარმოთა განვითარებისათვის 400 ათასი მანეთი. ეს სახსრები ისე უნდა განაწილდეს, რომ უკვე 1962 წელს უზრუნველვყოთ ძირითადი ფონდების ამოქმედება.

მინისტრთა საბჭოს საჭიროდ მიაჩნია დამატებით განიხილოს დეპუტატების მარუაშვილისა და ლაშქარაშვილის მიერ წამოყენებული საკითხები „თორღვას აბანოს“ მშენებლობის შესახებ, სპეციალური სამედიცინო და სასწავლო ინვენტარის გამოშვების შესახებ და მიიღოს სათანადო გადაწყვეტილება. დამატებით იქნება განხილული დეპუტატების მელაძის, კომახიძის, აგაპოვის, შარტავას, ვიშნიაკოვის მიერ წამოყენებული საკითხები საქალაქო ელექტროქსელების რეკონსტრუქციისა და მოწესრიგების შესახებ.

დეპუტატი მელაძე ითხოვს საბინაო მშენებლობაში მარაგგანამზად ნაკეთობათა შესაქმნელად დამატებითი თანხების გამოყოფას. მოგახსენებთ, რომ ამ მიზნით მომავალი წლისათვის თბილისის საბჭოს გამოეყო დამატებით 1,6 მილიონი მანეთი. ამასთან საჭიროა, რომ თბილისის საბჭომ განახორციელოს ქმედითი ღონისძიებანი საბინაო მშენებლობის გასაიაფებლად დაწესებული ნორმატივების დონემდე, რათა შემდგომ არ დაუშვას მარაგგანამზად ნაკეთობათა შემცირება.

დეპუტატებმა ვიშნიაკოვმა, აგაპოვმა მოითხოვეს საბინაო მშენებლობისათვის გამოყოფილ კაპიტალურ დაბანდებათა გადიდება. მომავალი წლისათვის სახალხო მეურნეობის საბჭოს წლევანდელთან შედარებით საგრძნობლად უდიდდებათ ასიგნობანი ამ დანიშნულებით, რაც უნდა მოხმარდეს საბინაო მშენებლობის გაფართოებას ქალაქებში რუსთავში, გორსა და ქუთაისში, სადაც მწყობრში დგება ახალი საწარმოო სიმძლავრენი. სახალხო მეურნეობის საბჭო უთუოდ მიიღებს ამ მხრივ სათანადო გადაწყვეტილებას.

ბევრმა გამოსულმა დეპუტატმა, მათ შორის დეპუტატებმა გაზაევმა, დუჩიძემ, სვანაძემ, კვიჭიძემ, ამხ. ქრისტესაშვილმა, წამოაყენეს საკითხები მეურნეობის ამა თუ იმ დარგის განვითარებისათვის დამატებით კაპიტალურ დაბანდებათა გამოყოფის შესახებ. რასაკვირველია, მათი თხოვნა მართებულია. სურვილი დიდია და მოთხოვნილება დასაბუთებული. მაგრამ ამ საკითხების განხილვის დროს უნდა ვითვალისწინებდეთ არსებულ შესაძლებლობებს, არ უნდა დავუშვათ სახსრების მოხმარება იმ ობიექტებზე, რომელთა მშენებლობა გამოწვეული არ არის პირველი რიგის აუცილებლობით, რაზედაც ჩვენთვის არაერთხელ მიუთითებიათ სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს.

გამოცდილებამ დაგვარწმუნა, რომ ხშირად ცალკეული მუშაკები იბრძვიან დამატებით ასიგნობათა მიღებისათვის და ჯეროვნად არ იბრძვიან მათი სწორად გამოყენებისა და კაპიტალური მშენებლობის დასახული გეგმების წარმატებით შესრულებისათვის. ამას მოწმობს კაპიტალური მშენებლობისა და სიმძლავრეთა ამოქმედების გეგმების შეუსრულებლობა უკანასკნელ წლებში, მათ შორის 1961 წელსაც.

მაგალითად, აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში გამოყოფილი კომუნალური მეურნეობის განვითარების ასიგნობანი 11 თვის მონაცემებით ათვისებულია მხოლოდ 82 პროცენტით, აჭარის ასს რესპუბლიკაში — 67 პროცენტით, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში — 62 პროცენტით, ქ. ქუთაისში — 78 პროცენტით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ფარცხანაყანევის წყალსადენის მშენებლობისათვის გათვალისწინებული იყო 207 ათასი მანეთი. ამ მიზნით გამოყოფილი იყო 400 ტონა მილები, მაგრამ ათვისებულია მხოლოდ 91 ათასი მანეთი. ასევე არ სრულდება კაპიტალურ დაბანდებათა ათვისების გეგმები ხაშურის, წყალტუბოს, წალკისა და სხვა რაიონებში.

საჭიროა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების შესაბამისად მკაცრი წესრიგი დავამყაროთ როგორც კაპიტალურ დაბანდებათა გამოყოფაში, ისე მათ სწორად გამოყენებაში. მომავალი წლისათვის გამოყოფილი სახსრები, რომლებიც მიმდინარე წლის ფაქტიურ ხარჯებთან შედარებით 14 პროცენტით იზრდება, შეესაბამება ჩვენს ძირითად მოთხოვნებს, ჩვენი სამშენებლო ორგანიზაციების მაქსიმალურ შესაძლებლობებს და არ იქნებოდა მიზანშეწონილი კაპიტალურ დაბანდებათა შემდგომი გადიდება, გარდა ზემოთ აღნიშნულისა. ყველა ადგილობრივმა ორგანიზაციამ ძირითადი ყურადღება ამჟამად უნდა მიაქციოს უკვე გამოყოფილი სახსრების სწორად გამოყენებას და აუცილებლად უზრუნველყოს იმ სიმძლავრეთა ამოქმედება, რომლებსაც სახალხო-სამეურნეო გეგმა სახავს.

დეპუტატმა დავითაშვილმა თავის გამოსვლაში წამოაყენა მთელი რიგი საკითხები რესპუბლიკის საავტომობილო ტრანსპორტის შემდგომი სპეციალიზაციისა და უკეთ გამოყენების მიზნით. აგრეთვე ითქვა სხვადასხვა უწყებათა ავტობუსების საერთო სარგებლობის ავტოტრანსპორტისათვის გადაცემის შესახებ. ამ მიმართულებით ჩვენს რესპუბლიკაში განხორციელებულია მთელი რიგი ღონისძიებანი, რომლებსაც კარგი შედეგები მოჰყვა.

საჭიროა კვლავაც გაგრძელდეს ეს მუშაობა. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ა. წ. 14 დეკემბრის დადგენილებით სათანადო დავალება მიეცა საგეგმო კომისიას ავტოტრანსპორტის სამინისტროსთან ერთად.

დეპუტატებმა მაკაროვმა, კინწურაშვილმა, დუჩიძემ წამოაყენეს საკითხი სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესყიდვის გეგმის შესახებ. უნდა მოგახსენოთ, რომ საგეგმო კომისია საკითხების ასეთ დასმას მხარს ვერ დაუჭერს. წალკის რაიონში ხორცის დამზადების გეგმა იმიტომ გაიზარდა, რომ ამ რაიონში ჩამოყალიბდა პირუტყვის გასასუქებელი სპეციალური მეურნეობა და მასაც, რა თქმა უნდა, თავისი გეგმა მიეცა. რაც შეეხება კვერცხის დამზადებას, ეს რაიონი მარცვლეულისა და კარტოფილის წარმოების რაიონია და მოსახლეობაში მეფრინველეობა კარგად არის განვითარებული. 1 დეკემბრისათვის წალკის რაიონში შესყიდული 516 ათასი ცალი კვერცხიდან კოლმეურნეობებში შესყიდულ იქნა მხოლოდ 17 ათასი ცალი კვერცხი, დანარჩენი სახელმწიფოს მოსახლეობამ მიჰყიდა. თუ გავითვალისწინებთ, რომ მოსახლეობამ თავისი საჭიროებისათვის და საკოლმეურნეო ბაზარზე გასასყიდად საკუთარ მეურნეობაში წარმოებული კვერცხის საგრძნობი ნაწილი დახარჯა, ნათელი გახდება, რაოდენ განვითარებულია აქ მეფრინველეობა. ამის შემდეგ ისმება კითხვა — რატომ არის რომ კოლმეურნეობაში, სადაც უფრო მეტი შესაძლებლობაა მეფრინველეობის მსხვილი ფერმების მოწყობისა და მისი პროდუქციის გადიდებისათვის, ფაქტიურად მეურნეობის ეს დარგი ლიკვიდაციის გზაზეა დამდგარი? შემდგომშიც, როგორც დეპუტატ მაკაროვის გამოსვლიდან ირკვევა, არ ფიქრობენ მეფრინველეობის განვითარებას, რაც სწორი არ არის. ამ გზით თუ წავედით, ჩვენ უეჭველად მკვეთრად შევამცირებთ, შევწყვეტთ სოფლის მეურნეობის პროდუქტების მიყიდვას სახელმწიფოსათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 9 მარტის დადგენილებით შემოღებული სოფლის მეურნეობის დაგეგმვის ახალი პრაქტიკა იმას ნიშნავს, რომ წარმოების დონე უნდა წესდებოდეს სახელმწიფო დავალებათა შესრულების უზრუნველსაყოფად. ამ გარემოებას აქცევს ყურადღებას თავის სიტყვაში უკრაინის სოფლის მეურნეობის მუშაკთა თათბირზე ამხ. ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი.

წყალტუბოს რაიონს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ბოსტნეულის წარმოების გადიდების საქმეში. ამ რაიონში მთელი წლის განმავლობაში მუშაობს საკავშირო და არა მარტო საკავშირო მნიშვნელობის კურორტი წყალტუბო, სადაც რამდენიმე ათასი დამსვენებელი მკურნალობს. ამ რაიონმა უნდა უზრუნველყოს დიდი სამრეწველო ქალაქის — ქუთაისის მოსახლეობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება, მომარაგოს ნედლეულით საკონსერვო ქარხანა. სწორედ ამ მიზნით შეიქმნა მებოსტნეობის ორი დიდი საბჭოთა მეურნეობა — გეგუთისა და ქვიტირისა. მიმდინარე წელს და წინა წლებში სახელმწიფოსათვის ბოსტნეულის მიყიდვის გეგმის შეუსრულებლობა ამ რაიონში შედეგია არა გეგმის სიდიდისა, არამედ მეტისმეტად დაბალი მოსავლიანობისა, რასაც სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს.

ამხანაგო დეპუტატებო! ამ სესიაზე გამოვიდა ზოგიერთი სხვა დეპუტატიც, რომლებმაც დააყენეს საკითხი სოფლის მეურნეობის პროდუქტების სახელმწიფო შესყიდვის გეგმების შემცირების შესახებ. ამასთან დაკავშირებით საჭიროდ მიმაჩნია მოვახსენო სესიას, რომ ჩვენ ვერ გავიზიარებთ ამ ამხანაგების მოსაზრებებს.

პარტიის XXII ყრილობის დადგენილებებში ხაზგასმულია სასურსათო პროდუქტების სიუხვის შექმნის დიდი მნიშვნელობა კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზისათვის. სოფლის მეურნეობის წარმოების შემდგომ მძლავრ აღმავლობასა და ამ მიზნით სათანადო ღონისძიებათა დამუშავებას ეძღვნება სოფლის მეურნეობის მუშაკთა ის მრავალრიცხოვანი ზონალური თათბირები, რომლებშიც ამხანაგი ხრუშჩოვი უშუალო მონაწილეობას იღებს.

პარტია და მთავრობა დიდ თანხებს აბანდებენ სოფლის მეურნეობაში, რათა დაჩქარდეს სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარება. საკმაოდ დიდ თანხებს იღებს საქართველოს სოფლის მეურნეობაც.

შვიდწლედის საკონტროლო ციფრებით 1961 წელს სოფლის მეურნეობაში სახელმწიფო კაპიტალური დაბანდებებისათვის საწარმოო დანიშნულებით გათვალისწინებული იყო 30 მილიონ 400 ათასი მანეთი; ფაქტიურად გამოყოფილ იქნა 42 მილიონ მანეთზე მეტი. 1962 წლისათვის საკონტროლო ციფრებით უნდა მიგვეღო 33 მილიონი მანეთი. როგორც გუშინ მოგახსენეთ, სოფლის მეურნეობას მომავალ წელს ეძლევა 56 მილიონი მანეთი, ესე იგი 23 მილიონი მანეთით მეტი, ვიდრე შვიდწლედის გეგმით იყო გათვალისწინებული. როგორც ხედავთ, ყოველწლიურად მეტად სწრაფად იზრდება კაპიტალური დაბანდებანი სოფლის მეურნეობაში. სამწუხაროდ, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზოგიერთი დარგი ჩამორჩება შვიდწლიანი გეგმის საკონტროლო ციფრებით გათვალისწინებულ მოცულობას და მეტად ნელი ტემპით იზრდება წინა წლებთან შედარებით. 1962 წლისათვის შვიდწლედის საკონტროლო ციფრებით გათვალისწინებული იყო დაგვემზადებინა 226 ათასი ტონა ყურძენი. მომავალი წლის გეგმით ჩვენ ვითვალისწინებთ 190 ათას ტონას, ანუ 36 ათასი ტონით ნაკლებს. აქ კამათში გამოსული ზოგიერთი დეპუტატი მოითხოვს ყურძნის დამზადების ამ რაოდენობის კიდევ შემცირებას. ამის დასამტკიცებლად იმიზეზებენ რაიონებში ვენახების სიმეჩხრეს. ეს კი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელთა არადამაკმაყოფილებელი ყურადღების ბრალია, რასაც ბოლო უნდა მოეღოს. საჭიროა სოფლის მეურნეობის მუშაკთა და რაიონის ხელმძღვანელთა მთელი ყურადღება მიექცეს იმას, რომ უახლოეს ხანში აღმოვფხვრათ ვენახების სიმეჩხრე და უზრუნველვყოთ ვენახების ისეთი მოვლა-პატრონობა, რომ გავადიდოთ ყურძნის მოსავალი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და მინისტრთა საბჭომ ამ დღეებში მიიღეს დადგენილება სოფლის მეურნეობის პროდუქტების მომავალი წლის მოცულობათა შესახებ. ყველა რაიონს დაეგზავნა საგეგმო კომისიის მიერ ცალკე რაიონების მიხედვით დამუშავებული თითქმის ყველა პროდუქტის დამზადების გეგმის პროექტი. უახლოეს დღეებში რაიონებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი დასაბუთებული მოსაზრებანი ამ მოცულობათა შესახებ და პარტიის ცენტრალური კომიტეტი განიხილავს ამ საკითხებს. მინდა მოვაგონო რაიონის ხელმძღვანელებს, რომ პარტიის ცენტრალური კომიტეტი და მინისტრთა საბჭო მიუთითებენ პროდუქტთა შესყიდვის მოცულობის დაზუსტებისას მტკიცედ იხელმძღვანელონ პარტიის XXII ყრილობისა და სოფლის მეურნეობის საკითხებზე შემდგომი თათბირების გადაწყვეტილებებით: ყოველმხრივ განავითარონ საზოგადოებრივი მეურნეობა, მაქსიმალურად გამოიყენონ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების შესაძლებლობანი სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გასადიდებლად, იმ ვარაუდით, რომ წარმატებით შესრულდეს მოცემული დამზადების გეგმა.

სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ჩოგოვაძემ თავის გამოსვლაში წამოაყენა მთელი რიგი ფრიად მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც ნათელყოფენ იმ დიდ უპირატესობებს, რაც მოჰყვა ჩვენი პარტიის მიერ განხორციელებულ მრეწველობისა და მშენებლობის სტრუქტურისა და ხელმძღვანელობის გარდაქმნას და გვაძლევენ საწარმოთა მუშაობის შემდგომი მკვეთრი აღმავლობის საშუალებას.

მაგრამ ამავე დროს არ შეიძლება არ შევნიშნოთ, რომ ყურძნის, თამბაქოსა და ჩაის შესყიდვის გეგმის სათუოდ დასახვა და ამ საფუძველზე — შრომის ნაყოფიერების, თვითღირებულების ან საერთო პროდუქციის გამოშვების ზრდის ტემპების გადასინჯვის სურვილი-მისაღები ან მხარდასაჭერი იყო. პირიქით, მინდა დეპუტატებს მოვახსენო, რომ სახალხო მეურნეობის განვითარების მომავალი წლის გეგმა წარმოების დარგში, გასულ წლებთან შედარებით არ ითვალისწინებს ეგრეთწოდებული გაუშიფრავი პროდუქციის გამოშვებას, რაც სინამდვილეში იმას მოასწავებს, რომ სახალხო მეურნეობის საბჭოსა და სხვა სამრეწველო საწარმოებს აქვთ გეგმაში აღუნუ-

(დასასრული მე-4 გვერდზე)

# საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომები

## დეპუტატ ო. დ. გოცირიძის საბოლოო სიტყვის დასასრული

სხვა მრავალი რეზერვი, რომელთა გამოვლინება და გამოყენება დასახული გეგმების გადაჭარბებით შესრულების დიდ დამატებით საშუალებებს იძლევა. მე ვფიქრობ, რომ სახალხო მეურნეობის საბჭოს ხელმძღვანელობამ სწორედ მტკიცე გეზი უნდა აიღოს თქვენს განსახილველად წარმოდგენილი, მათთან ერთად შემუშავებული და შეთანხმებული გეგმების ყველა მაჩვენებლით უეჭველად შესრულებისათვის ბრძოლაში, წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება გამოიწვიოთ საქმის შეფერხება და არასასურველი შედეგები.

სახალხო მეურნეობის საბჭომ, სამინისტროებმა და უწყებებმა უკვე გასწიეს მნიშვნელოვანი მუშაობა თითოეულ საწარმოსთან, ორგანიზაციასთან 1962 წლის გეგმების დასაყვანად. საჭიროა ადგილებზე ამ გეგმების განხილვისა და დაზუსტების დროს ყოველმხრივ მხარი დავუჭიროთ საწარმოების მოწინავეთა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა, საბჭოთა მეურნეობების მუშათა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა თაოსნობას, რომლის მიზანია დამატებით შესაძლებლობათა გამონახვა და მუშაობის ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესება.

საჭიროა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდეს დაგეგმვის ორგანოების მუშაობა. დაგეგმვის ნაკლოვანებანი, რომლებზეც ლაპარაკი იყო პარტიის XXII ყრილობაზე და ამ სესიაზე, უნდა აღმოიფხვრას. უფრო მეტად და უკეთ უნდა ვიმუშაოთ ჩვენი სახალხო მეურნეობის განვითარების პერსპექტივაზე, საწარმოთა მუშაობის ეკონომიურ ანალიზზე. გავაჩაღოთ ბრძოლა შინაგანი რეზერვების გამოყენებისათვის მკაცრი წესრიგი დავამყაროთ სახსრების, ნედლეულის, მასალებისა და ენერგიის ხარჯვაში, მეტი დრო დავუთმოთ და უკეთესად წარმართოთ მუშაობა მოწყობილობის მოდერნიზაციისათვის, ახალი მიღწევების დანერგვისათვის, რათა ყოველი საწარმო, ყოველი უბანი უმცირესი' დანახარჯებით გვაძლევდეს რაც შეიძლება მეტ და უკეთეს პროდუქციას ჩვენი მრეწველობის მოთხოვნილებისა და საბჭოთა ადამიანების საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად.

ამხანაგო დეპუტატებო! საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობამ ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელის საწარმოო და შემოქმედებითი აქტივობის ახალი, უმაღლესი აღმავლობა გამოიწვია. ჩვენი რესპუბლიკის მუშები და კოლმეურნეები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები, ინტელიგენცია, მეცნიერები, ხელოვნებისა და კულტურის მუშაკები, ჩვენი ქვეყნის მშრომელებთან ერთად მჭიდროდ შეკავშირებულნი, მიდიან წინ, კომუნიზმის აშენებისათვის ბრძოლაში.

ეჭვი არ არის, რომ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების 1962 წლის გეგმის განხორციელებით ჩვენ ღირსეულ წვლილს შევიტანთ კაცობრიობის უკეთესი მომავლისათვის საყოველთაო-სახალხო ბრძოლაში.

## საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრის დეპუტატ ბ. ა. ჩხეიძის საბოლოო სიტყვა

ამხანაგო დეპუტატებო! საქართველოს სსრ 1962 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი ყოველმხრივ იქნა განხილული საბიუჯეტო კომისიაში და მიმდინარე სესიაზე. როგორც კამათში გამოსულმა დეპუტატებმა ერთსულოვნად აღნიშნეს, იგი შედგენილია სკკპ XXII ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებების შესაბამისად და უზრუნველყოფს ფულადი სახსრებით სახალხო მეურნეობის გეგმით გათვალისწინებულ ღონისძიებათა შეუფერხებელ დაფინანსებას.

საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ — დეპუტატმა ჩოფიკაშვილმა მოგახსენათ, რომ კომისიამ დაწვრილებით შეისწავლა საქართველოს სსრ 1962 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი და ანა-

[...]

საქართველოს სსრ 1962 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის გასავალი გადიდებულ იქნას იმავე თანხით, შემდეგ ღონისძიებებზე:

— სკოლებისა და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის ინვენტარისა და მოწყობილობის შეძენაზე — 240 ათასი მანეთით.

— სკოლებისა და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა შენობების კაპიტალურ რემონტზე — 70 ათასი მანეთით.

— სამკურნალო დაწესებულებებისათვის ინვენტარის და მოწყობილობის შეძენაზე — 78 ათასი მანეთით.

— ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებების შენობათა კაპიტალურ რემონტ-

[...]

ობის განვითარების ღონისძიებებზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის დადგენილების შესაბამისად.

უნდა აღინიშნოს, რომ საბიუჯეტო უფლებების შესაბამისად ჭარბი შემოსავალი იხარჯება ბიუჯეტს ზევით სახალხო მეურნეობისა და სოციალურ და კულტურულ ღონისძიებათა დაფინანსებაზე, ამასთან რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს უფლება აქვს აუცილებლობის შემთხვევაში მოახდინოს ბიუჯეტის ჭარბი სახსრების გადანაწილება.

დეპუტატმა ვიშნიაკოვმა სესიას მოახსენა, რომ რუსთავის ქალაქის საბჭოს აღმასკომს სხვა მნიშვნელოვან ღონისძიებასთან ერთად გათვალისწინებული აქვს ახალი შტატგარეში განყოფილებ-

[...]

## საქართველოს სსრ, ავტონომიური რესპუბლიკების და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების საბიუჯეტო უფლებათა შესახებ კანონის პროექტის დამტკიცების შესახებ

### საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ ვ. გ. ესაიაშვილის მოხსენება

ამხანაგო დეპუტატებო! საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საკანონმდებლო განზრახულობათა და საბიუჯეტო კომისიებმა ყოველმხრივ განიხილეს და დასამტკიცებლად შემოგთავაზეს პროექტი კანონისა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის, ავტონომიური რესპუბლიკების და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების საბიუჯეტო უფლებების შესახებ.

[...]

დღეობის უჩვეულო ამაღლების მტკიცე საფუძველი.

პარტიის ახალი პროგრამა აღუთქვამს საბჭოთა ადამიანებს, რომ შორს აღარ არის ის დრო, როცა ისინი იცხოვრებენ ქვეყანაში, სადაც არ იქნება არავითარი გადასახადი, იქნება ყველაზე მოკლე სამუშაო დღე და ადამიანთა ცხოვრების ყველაზე მაღალი დონე.

[...]

უწყებები, საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებები მოვალენი არიან ზუსტად და განუხრელად დაიცვან საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტი, მთლიანად და თავის დროზე შეიტანონ ბიუჯეტით დაწესებული გადასახადები და დაიცვან მკაცრი ეკონომია სახელმწიფო სახსრების ხარჯვაში.

ახალი კანონის პროექტის მეორე კარში მითითებულია, რომ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი შემოსავლისა და გა-

[...]

მოიყენონ სამეურნეო და კულტურულ მშენებლობის დასაფინანსებლად.

მთელი რიგი წლების მანძილზე საბიუჯეტო მუშაობის პრაქტიკაში ადგილი ჰქონდა წინა წლიდან გადმოსული ფულადი ნაშთების გადანაწილებას ბიუჯეტებს შორის. ამ შემთხვევაში ისე ხდებოდა, რომ იმ ადგილობრივი საბჭოს ბიუჯეტიდან, რომელიც გადაჭარბებით ასრულებდა ბიუჯეტს და ეწეოდა მკაცრ ეკონომიას, თანხები

[...]

რი საწარმოებიდან მიღებული შემოსავალი დაახლოებით 90 პროცენტს შეადგენს.

საზოგადოებრივი წარმოების განვითარების მაღალი ტემპები, საწარმოო პროცესების მექანიზაცია და ავტომატიზაცია განაპირობებენ სოციალისტურ საწარმოთა დაგროვების განუხრელ ზრდას და შორს აღარ არის ის დრო, როგორც ამას პარტიის ახალი პროგრამა ითვალისწინებს, როცა სოციალისტურ საწარმოთა დაგროვება გახდება სოციალისტური გაფართოებული კვლავწარმოების ერთადერთი წყარო, მშრომელთა კეთილ-

[...]

მის საერთო განყოფილებაში დახასიათებულია საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ბიუჯეტი, მოცემულია სახელმწიფო ბიუჯეტის განსაზღვრა და ნათქვამია, რომ იგი არის რესპუბლიკის ფულადი სახსრების სახელმწიფო ფონდის წარმოქმნისა და გამოყენების ძირითადი საფინანსო გეგმა. კანონის პროექტში ხაზგასმულია, რომ საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტს ამტკიცებს საქართველოს უმაღლესი საბჭო და იგი წარმოადგენს კანონს. ამიტომ სახალხო მეურნეობის საბჭო, სამინისტროები,

[...]

მართულებანი.

პარტიის XXII ყრილობამ მიგვითითა ადგილობრივი საბჭოების როლის შემდგომი ამაღლების აუცილებლობაზე. ამის შესაბამისად კანონის პროექტი არა მარტო განამტკიცებს უკანასკნელ წლებში ადგილობრივი საბჭოებისათვის მინიჭებულ უფლებებს, არამედ ამავე დროს ითვალისწინებს მათი უფლებების შემდგომ გაფართოებას.

პროექტი ნებას აძლევს ადგილობრივ საბჭოებს ბიუჯეტის შესრულების დროს მიღებული დამატებითი შემოსავალი გა-

[...]

სპუბლიკის, ავტონომიური რესპუბლიკებისა და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების საბიუჯეტო უფლებათა შესახებ.

ამ კანონის მიღება ხელს შეუწყობს ჩვენი რესპუბლიკის სახელმწიფო, სამეურნეო ორგანოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საბიუჯეტო საქმიანობის შემდგომ გაუმჯობესებას, სახალხო მეურნეობისა და კულტურის ახალ მძლავრ აღმავლობას, პარტიის XXII ყრილობის მიერ დასახული კომუნიზმის მშენებლობის დიადი გეგმის წარმატებით შესრულებას.

## ლ. ბრეჟნევი რაჯასტანში



[...]

მა, შტატის მთავარმა მინისტრმა მოჰანლალ სუკჰადიამ, შტატის მთავრობის მინისტრებმა, ქალაქის მცხოვრებლებმა. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის პატივსაცემად აეროდრომზე ჩამწკრივებული იყო საპატიო ყარაული და შეას-

[...]

რეობა გაუწიეს მას. მოხარული ვარ გაცნობოთ, ძვირფასო მეგობრებო, რომ ნიკიტა სერგის-ძეს საუკეთესო მოგონებანი დარჩა თქვენი ქალაქის, მისი ადამიანების შესახებ და მხურვალე სალამს გადმოგცემთ ყველას.

თავის სიტყვის დასასრულს ლ. ი. ბრეჟნევმა მადლობა უძღვნა რაჯასტანის შტატის ხელმძღვანელებსა და რაჯასტანის მცხოვრებთ გულთბილი მიღებისათ-

[...]

ლ. ი. ბრეჟნევი და მისი თანმხლები პირნი განაგრძობდნენ ჯაიპურის ღირსშესანიშნაობების გაცნობას. საბჭოთა სტუმრებმა ავტომანქანებით იმოგზაურეს ქალაქში და დაათვალიერეს მაჰარაჯას სასახლე. მოგვიანებით საბჭოთა კავშირის წარმომადგენლები დილის გაფრინდნენ.

ჯაიპურის აეროდრომზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გააცილეს რაჯასტანის შტატის გუბერნატორმა გურმუკჰ ნიჰალ სინგჰ-

[...]

საპასუხო სიტყვა წარმოთქვა ლ. ი. ბრეჟნევმა. რაჯასტანის შტატის დედაქალაქში, საუცხოო ქალაქ ჯაიპურში ერთი მოკლე დღის ყოფნამ, თქვა მან, წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე. ინდოეთის დიდი მეგობარი ნიკიტა სერგის ძე ხრუშჩოვი ორჯერ იყო რაჯასტანის შტატში. შტატის მთავრობა და ხალხი გულთბილად შეხვდნენ მას და ტრადიციული რაჯპუტული სტუმართმოყვა-

[...]

დღესვე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი ეწვია ინდოეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს რაჯენდრა პრასადს. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარისა და ინდოეთის პრეზიდენტის შეხვედრას დაესწრო პრემიერ-მინისტრი ჯ. ნერუ. ორი ქვეყნის სახელმწიფო მოღვაწეთა შორის გაიმართა გულთბილი მეგობრული საუბარი.

## სპორტი

### ოთხი ტურის შემდეგ

საკავშირო გუნდური ჩემპიონატის მეოთხე ტურში გათამაშების ლიდერმა — „ბურევესტნიკის" მოჭადრაკეთა კოლექტივმა დაამარცხა არმიელთა გუნდი ანგარიშით 6,5 : 2,5. 1 პარტია გადაიდო.

[...]

რინგზე ერთმანეთს შეხვდნენ მინსკისა და თბილისის უძლიერესი სპორტსმენები. თბილისელებმა ძლიერად ჩაატარეს ბრძოლა და გაიმარჯვეს ანგარიშით 7 : 3. აღსანიშნავია, რომ მძიმე წონაში თბილისელმა კ. ბაბახანოვმა ნოკაუტში ჩააგდო მეტოქე — სპორტის ოსტატი ა. ივანოვი.

რედაქტორის მოადგილე ბ. თათარიშვილი.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები: თბილისი, ლენინის 14, ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 1-68-03, 1-08-67, პასუხისმგებელი მდივნის — 1-72-80, ხამდივნოხო — 8-46-10, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 1-57-61, მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 8-22-89, სოფლის მეურნეობის — 8-32-46, საბჭოთა მშენებლობის, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 8-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების, ინფორმაციის — 8-16-90, წერილების — 1-78-24, უცხოეთის — 8-40-21, ხილუსტრაციო — 8-20-48, განცხადებების მიღების — 1-64-42.

უე 05730 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14.